დამტკიცებულია კანცლერის 2018 წლის 3 ივლისის
#01-77 ბრძანებით

წარმატებულ სტუდენტთათვის სტიპენდიის, ერთჯერადი ჯილდოს გაცემისა და სხვა სახის წახალისების წესი

მუხლი1. ზოგადი დებულებები

1. სტიპენდია, ერთჯერადი ჯილდო და სხვა სახის წახალისება ემსახურება სტუდენტთა მოტივაციის გაზრდასა და კორკურენტული სასწავლო გარემოს შექმნას.
2. ეს წესი ადგენს სტიპენდიის, ერთჯერადი ჯილდოსა და სხვა სახის წახალისების ღონისძიებების გაცემის პროცედურებს და ვრცელდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ყველა სტუდენტზე.

მუხლი 2. სტიპენდიის სახეები

1. უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო და სახელობითი სტიპენდიები, ასევე წარჩინებული აბიტურიენტებისათვის სტიპენდიები.
2. სასწავლო სტიპენდია მოიპოვება სტუდენტის მიერ ყოველსემესტრულად მიღწეული შედეგების საფუძველზე და მოქმედებს ერთი სემესტრის განმავლობაში;
3. სახელობითი სტიპენდია არის კონკრეტულ დარგში გამოჩენილი მეცნიერის ან უნივერსიტეტის წინაშე დამსახურების მქონე პირის სახელობითი სტიპენდია, რომელიც გაიცემა კონკრეტულ მიმართულებაში (სასწავლო კურსი, დარგი, მეცნიერება, ნაშრომი, სპორტული ან კულტურული მიღწევა) მიღწეული შედეგებით.
4. ბაკალავრიატის სტუდენტი, რომელსაც საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულება დასრულებული აქვს ოქროს ან ვერცხლის მედალზე, სარგებლობს უნივერსიტეტის სტიპენდიით.
5. მაგისტრატურის სტუდენტი, რომელსაც უმაღლესი განათლების პირველი საფეხური დასრულებული აქვს საშუალო შეწონილი ქულით 3.5 და მეტი, სარგებლობს უნივერსიტეტის სტიპენდიით პირველი და მეორე სასწავლო წლის განმავლობაში. სასწავლო და წარჩინებული აბიტურიენტების/მაგისტრანტების სტიპენდიის გაცემის პროცედურები დადგენილია აღნიშნული წესით.
6. სახელობითი სტიპენდია იქმნება კანცლერის ბრძანებით და გაცემის წესი რეგულირდება შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 3. სასწავლო სტიპენდიის მინიჭების პროცედურა

1. უნივერსიტეტის კანცლერი ყოველი სასწავლო სემესტრის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში ბრძანებით განსაზღვრავს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობას.
2. სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია შედგება მინიმუმ 4 წევრისგან წევრისაგან და მის საქმიანობაში ჩართულები არიან იურიდიული, საფინანსო, აკადემიური პროცესის მართვის, ახალგაზრდობის, სპორტის და კულტურის სამსახურები. **(01-09, 03.02.2025)**
3. კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში აკადემიური პროცესის მართვის სამსახური კომისიას წარუდგენს კანდიდატების სიას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემიდან ამოღებული მონაცემების შესაბამისად. საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართულობისა და სასწავლო/სამეცნიერო საქმიანობაში მიღწევების შესახებ ინფორმაციას წარადგენს თავად სტუდენტი წინასწარ განსაზღვრული ვადების დაცვით უნივერსიტეტის ვებ გვერდზე დადებულ განცხადებაში აღნიშნულ ელ ფოსტაზე გადაგზავნით. **(01-09, 03.02.2025)**
4. კომისია სემესტრის დაწყებამდე განიხილავს სტუდენტების შესახებ ინფორმაციას, ამოწმებს სასწავლო სემესტრის შედეგებს ელექტრონულ ბაზაში და ადგენს სასწავლო სტიპენდიანტთა ფინალურ სიას, რაც წარედგინება კანცლერს.

მუხლი 4. სასწავლო სტიპენდიის მაძიებელთა შეფასების კრიტერიუმები

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის სტუდენტთა შეფასება ხორციელდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების, სტუდენტურ აქტივობებში აქტიური მონაწილეობისა და სასწავლო სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობის შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე.
2. აკადემიური მოსწრება გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სასწავლო სემესტრის განმავლობაში დარეგისტრირებულ სასწავლო კურსებში (არანაკლებ 27 კრედიტი) მიღებული ქულების საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).
3. სტიპენდიის მიიღების შესაძლებლობა აქვთ სტუდენტებს, რომელთაც ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სემესტრული GPA აქვთ 3,5-ზე მეტი.
4. გარდა სემესტრული აკადემიური შედეგებისა, სტიპენდიის დანიშვნის დროს გამოიყენება მონაცემები სტუდენტის მონაწილეობის შესახებ სტუდენტურ, სასწავლო-სამეცნიერო აქტივობებში და რამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უნივერსიტეტის განვითარებაში და მისი ცნობადობის ამაღლებაში.
5. სასწავლო სტიპენდიის მინიჭება ხდება ქულების რანჟირების მიხედვით (მაქსიმუმ 410 ქულა და მინიმუმ 350 ქულა), რომლის კრიტერიუმები დადგენილია შემდეგი სახით: **(01-126, 12.11.2020)**

   ა) აკადემიური მოსწრების შედეგები განისაზღვრება საშუალო შეწონილი ქულით GPA, რაც მრავლდება 100-ზე (პირობითად სემესტრული 3,70 GPA დათვლის დროს შეადგენს 370 ქულას (მაქსიმუმ 400 ქულა);

   ბ) სტუდენტის მონაწილეობა საუნივერსიტეტო სტუდენტურ აქტივობებში და უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილი (მაქსიმუმ 5 ქულა) - სტიპენდიის მიღების მსურველი სტუდენტი თავად წარმოადგენს აღწერას მის მიერ განხორიცელებული აქტივობების შესახებ. კომისიის წევრები წარმოდგენილ აქტივობებს აფასებენ აქტუალობის და ჩართულობის ხარისხის მიხედვით ცალ-ცალკე და საბოლოოდ გამოყავთ საშუალო არითმეტიკული ქულა; **(01-126, 12.11.2020)**

   გ) სტუდენტის მონაწილეობა სასწავლო-სამეცნიერო აქტივობებში (კონფერენცია, დებატები, გაცვლითი პრექტები, სტუდენტური სასწავლო და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობა და სხვა) (მაქსიმუმ 5 ქულა) - სტიპენდიის მიღების მსურველი სტუდენტი თავად წარმოადგენს აღწერას მის მიერ განხორიცელებული აქტივობების შესახებ. კომისიის წევრები წარმოდგენილ აქტივობებს აფასებენ აქტუალობის და ჩართულობის ხარისხის მიხედვით ცალ-ცალკე და საბოლოოდ გამოყავთ საშუალო არითმეტიკული ქულა; **(01-126, 12.11.2020)**

მუხლი 5. სასწავლო სტიპენდიის დანიშვნა

1. კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, სწავლის მომდევნო სემესტრის დაწყებამდე ან დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში კანცლერი გამოსცემს ბრძანებას საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ, რაც ელექტრონული ფოსტის ან სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ეცნობება სამიზნე სტუდენტებს ინდივიდუალურად.
2. სასწავლო სტიპენდია გაიცემა ერთი სემესტრის განმავლობაში.
3. სტიპენდიის გაცემა ხდება შემდეგი ოდენობით:

   ა) ფაკულტეტზე საუკეთესო შედეგების 3 სტუდენტი - 100% სემესტრული დაფინანსება;

   ბ) ფაკულტეტზე მე-4-მე-10 შედეგების მქონე სტუდენტი - 50% სემესტრული დაფინანსება;

   გ) ფაკულტეტზე მე-11-მე-20 შედეგების მქონე სტუდენტი - 20% სემესტრული დაფინანსება;

3[1]. მედიცინის ფაკულტეტზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სტიპენდიის მიმღებთა კვოტირება ხორციელდება ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამების მიხედვით შემდეგი განაწილებით:

ა) ფაკულტეტზე საუკეთესო შედეგების 1 სტუდენტი - 100% სემესტრული დაფინანსება;

ბ) ფაკულტეტზე მე-2-მე-5 შედეგების მქონე სტუდენტი - 50% სემესტრული დაფინანსება;

გ) ფაკულტეტზე მე-6-მე-10 შედეგების მქონე სტუდენტი - 20% სემესტრული დაფინანსება; **(01-126, 12.11.2020)**

4. ამ მუხლის მესამე პუნქტის მიზნებისათვის სწავლის საფასური განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ დადგენილი საფასურის მიხედვით - წლიური გადასახადი 2250 ლარი, ხოლო უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტთათვის - 2250 აშშ დოლარი. **(01-126, 12.11.2020)**
5. სტუდენტი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს დაფინანსება, სასწავლო სტიპენდიის მოპოვების შემთხვევაში, არსებული სხვაობა ჩაერიცხება ფულადი სახით.
6. სტიპენდიანტს სტიპენდია შეიძლება შეუწყდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის ან ისეთი უღირსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში, რომელიც უხეშად არღვევს უნივერსიტეტის დებულებასა და ეთიკის ნორმებს.
7. სტიპენდია არ გაიცემა სტუდენტზე, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით ან სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებულია უნივერსიტეტთან.
8. სტიპენდია არ გაიცემა სტუდენტზე, რომელიც დასკვნითი გამოცდ(ებ)ის დროს კრედიტს ვერ მოიპოვებს ძირითადი გამოცდის შედეგით და დაჭირდება დამატებითი გამოცდის ჩაბარება. **(01-09, 03.02.2025)**

მუხლი 6. წარჩინებულ სკოლადამთავრებულთა სტიპენდიის დანიშვნა

1. სტუდენტები, რომელთაც საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულება დაასრულეს ოქროს ან ვერცხლის მედალზე, სტიპენდიის მოპოვების მიზნით მიმართავენ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან ორი კვირის ვადაში.
2. განცხადებას თან უნდა ახლდეს სერთიფიკატი ან უფლებამოსილი ორგანოს ცნობა მედლის გადაცემის შესახებ.
3. სტუდენტის განცხადებას განიხილავს კომისია და დასკვნას წარუდგენს უნივერსიტეტის კანცლერს.
4. უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანებით წარჩინებულ სკოლადამთავრებულ სტუდენტებს უწესდებათ სტიპენდია პროგრამის ხანგრძლივობის ვადით შემდეგი ოდენობით:

ა) ოქროს მედალოსანი სტუდენტი - სწავლის საფასურის 20% დაფინანსება;

ბ) ვერცხლის მედალოსანი სტუდენტი - სწავლის საფასურის 10% დაფინანსება;

5. წარჩინებულ სკოლადამთავრებულ სტუდენტს სტიპენდია უნარჩუნდება იმ პირობით, თუ ყოველი სასწავლო სემესტრის საშუალო შეწონილი ქულა იქნება 3.0 GPA ან მეტი.

მუხლი 7. საბაკალავრო პროგრამის წარჩინებული კურსდამთავრებულის სტიპენდიის დანიშვნა მაგისტრატურაში

1. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, რომელთაც პირველი საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს საერთო შეწონილი ქულით 3,5 და მეტი, სტიპენდიის მოპოვების მიზნით მიმართავენ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან ორი კვირის ვადაში.
2. განცხადებას თან უნდა ახლდეს დიპლომის დანართი საერთო შეწონილი ქულის აღნიშვნით.
3. სტუდენტის განცხადებას განიხილავს კომისია და დასკვნას წარუდგენს უნივერსიტეტის კანცლერს.

4. უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანებით წარჩინებულ მაგისტრანტებს უწესდებათ სტიპენდია პროგრამის ხანგრძლივობის ვადით 50%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ერთჯერადი ჯილდო

1. ერთჯერადი ჯილდო უნივერსიტეტის სახელის საერთაშოროსო დონეზე გატანისათვის გადაეცემა სტუდენტს, რომელმაც უნივერსიტეტი წარმოაჩინა უცხოეთში ან საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, სპორტულ და კულტურულ, ინტელექტუალურ კონკურსებში, გამოფენებში, კონცერტებში და სხვა.
2. რექტორის, ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის სამსახურის ან სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის კანცლერი ბრძანებით განსაზღვრავს ერთჯერადი ჯილდოს მიმღებსა და ჯილდოს სახეს.

მუხლი 9. სხვა სახის წახალისება

1. უნივერსიტეტის კანცლერი თავისი ინიციატივით ან სტუდენტ(ებ)ის თხოვნის საფუძველზე ახორციელებს სხვადასხვა სახის წამახალისებელ ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. წარმატებულ სტუდენტთათვის სტიპენდიის, ერთჯერადი ჯილდოს გაცემისა და სხვა სახის წახალისების წესს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის კანცლერი.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანცლერის ბრძანებით.
3. აღნიშნული ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა დირექტორის 2011 წლის 2 ნოემბრის #01-33 ბრძანებით დამტკიცებული „წარმატებულ სტუდენტთათვის სტიპენდიის, ერთჯერადი ჯილდოს და სხვა სახის წახალისების წესი“.